უფლებების მართვის საფასურის დაკავების და გამოთვლის წესი

უფლებების მართვის საფასურის გამოთვლის და დაკავების წესი (შემდგომში - „წესი“) განსაზღვრავს მექანიზმს, რომლის შესაბამისადაც ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაცია - ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია (შემდგომში - ,,ასოციაცია“) უზრუნველყოფს უფლებამფლობელთა კუთვნილი ქონებრივი უფლებების მართვის სანაცვლოდ მიღებული ჰონორარ(ებ)იდან, უფლებების მართვის საფასურის დაკავებას და გამოთვლას.

1. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - ,,კანონი“) 66[1]-ე მუხლის, პირველი პუნქტის თანახმად, ქონებრივი უფლებების მართვის საფასური შეადგენს ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვიდან შეგროვებული წლიური ჰონორარის არაუმეტეს 20 პროცენტს.
2. ქონებრივი უფლებების მართვის საფასურში არ შედის კონკრეტული მიზნობრიობით შექმნილი ფონდებისთვის გადასახდელი თანხები.
3. შეგროვებული ჰონორარი მოიცავს:

- თანხებს, რომლებიც ირიცხება მოსარგებლეებთან დადებული სალიცენზიო ხელშეკრულებების საფუძველზე, იმ საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებების ობიექტებით სარგებლობისთვის, რომელთა უფლებებიც კოლექტიურად იმართება ასოციაციის მიერ.
- თანხებს, რომლებიც ირიცხება ასოციაციის ანგარიშზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით იმ პირებისგან, რომლებიც ვალდებულნი არიან გადაიხადონ ჰონორარი საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებების მფლობელთა სასარგებლოდ.

4. ასოციაციის მიერ უფლებების მართვის საფასურის დაანგარიშება ხორციელდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს ყოველი თვის 5 რიცხვისა, ამ წესის პირველ პუნქტში მითითებული პროცენტული მაჩვენებლის შესაბამისად. დაანგარიშებისთვის გამოიყენება ასოციაციის ანგარიშებზე შემოსული თანხები, რომლებიც მიღებული აქვს ასოციაციას წინა კალენდარული თვის განმავლობაში.
5. დაანგარიშების შედეგად მიღებული უფლებების მართვის საფასური ირიცხება ასოციაციის ცალკე ანგარიშზე (საბანკო ანგარიში), საიდანაც ასოციაცია უზრუნველყოფს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ მართვასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ხარჯის გადახდას.
6. წინამდებარე წესის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებების მართვის საფასურის გამოქვითვის შემდგომ, ასოციაცია უზრუნველყოფს უფლებამფლობელთა ჰონორარებიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო და სხვა სავალდებულო გადასახადების გამოქვითვას, რაც დაკავშირებულია უფლებამფლობელების ჰონორარების ჩარიცხვასთან და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მიზნებთან.
7. უფლებების მართვის საფასური თვიურ ჭრილში შესაძლოა ითვალისწინებდეს ამ წესის პირველი პუნქტისგან განსხვავებულ პროცენტულ მაჩვენებელს იმ პირობით, რომ ასოციაციის მიერ წლიურად შეგროვებული ჰონორარიდან უფლებების მართვის საფასური არ გადააჭარბებს წლიური ჰონორარის 20%-ს.
8. წინამდებარე წესები ვრცელდება ასოციაციის მიერ შეგროვებულ ჰონორარებზე.
9. ასოციაცია პერიოდულად უზრუნველყოფს წინამდებარე წესის გადახედვას, სამართლიანობისა და პროპორციულობის პრინციპების დაცვისთვის. აღნიშნულის საფუძველზე ასოციაცია უფლებამოსილია წინამდებარე დოკუმენტში განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები.